ხელშეკრულება N240
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 26.11.2019 წ.

ერთი მხრივ, შპს „ქვიქტესტი“ (ს/კ 405239503) (შემდგომში „შემსრულებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, დავით ქორიძეს სახით და მეორე მხრივ, შუახევის მუნიციპალიტეტი (ს/კ 247865145 (შემდგომში „დამკვეთი“), წარმოდგენილი მისი მერის, ფრიდონ ფუტკარაძის სახით, საქართველოს კანონმდებლობის და საკუთარი ნების საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

დამკვეთი და შემსრულებელი ცალ-ცალკე ასევე მოხსენებულნი არიან როგორც „მხარე” ან ერთობლივად - „მხარეები“.

პრეამბულა

- *წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს 2017 წლის 1 დეკემბრის მთავრობის N510 დადგენილება ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე გასაწევი მომსახურების მხარეთა შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად:*
- *პირობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს 2017 წლის 1 დეკემბრის მთავრობის N510 დადგენილება ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N37 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების პერიოდულობის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის დადგენილება N522 „ტექნიკური რეგლამენტის „სხვადასხვაკატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების პერიოდულობის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N37 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით.*
- *შემსრულებელი ადასტურებს, რომ აკრედიტირებულია წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი მიზნებისათვის გასაწევი მომსახურების გაწევისათვის და აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის N511 დადგენილებას, კერძოდ ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკურიინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს.*
- *წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები შესაძლოა იყვნენ მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიული პირები.*
- *ხელშეკრულების მიზნებისთვის მხარეები განსაზღვრავენ საკონტაქტო პირებს:*

დამკვეთის ელ.ფოსტა:
შემსრულებლის ელ.ფოსტა:

1. **მუხლი: ხელშეკრულების საგანი**

1.1. „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას მომსახურება გაუწიოს „დამკვეთს“ წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) პრეამბულაში მოცემული დადგენილებების მიხედვით, კერძოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური დათვალიერება, ხოლო დამკვეთი უზრუნველყოფს გაწეული მომსახურების ანაზღაურებას საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N37 დადგენილების თანახმად.

1.2. წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში შემსრულებელი გაუწევს მომსახურებას ავტოსატრანსპორტო საშუალებებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N37 დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების პერიოდულობის“ დანართი N1-ში განსაზღვრული შემდეგი კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებს: M_1, M_2, N_1.

1.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართიN1, რომელიც მოიცავს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ჩამონათვალს, ჩამოყალიბებულია მხარეთა მიერ და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რომელიც მასთან ერთად მოქმედებს.

1.4. შემსრულებელი მომსახურებას გაუწევს წინამდებარე ხელშეკრულების დანართიN1-ში გათვალისწინებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მოცემული კატეგორიების მიხედვით.

1.5. CPV71631200-მომსახურებები მანქანა-დანადგარების ტექნიკური შემოწმების სფეროში

2. მუხლი: მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება დამოკიდებულია და დადგენილია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N37 დადგენილების და შესაბამისად მასში შესული 2017 წლის 1 დეკემბრის N522 დადგენილებით გათვალისწინებული ცვლილების შესაბისად, კერძოდ:

ავტოსატრანსპორტო საშუალების კატეგორია	**ფასი (ერთი ავტოსატრანსპორტო საშუალება)**
M_1	**60 ლარი**
M_2	**100 ლარი**
N_1	**60 ლარი**

წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრული ღირებულება განისაზღვრება დანართი N1-ის და ზემოაღნიშნული ცხრილის მიხედვით, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების ჯამური ოდენობით და მოიცავს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს და მთლიანად შეადგენს 760(შვიდას სამოცი) ლარს.

2.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების დასრულებიდან **5 (ხუთი)** სამუშაო დღეში შემსრულებლის მიერ წარდგენილი საგადახდო ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად.

2.3. გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით და დამკვეთის მხრიდან ანგარიშსწორების ვალდებულება შესრულებულად ითვლება შემსრულებლის ქვემოთ მოცემული საბანკო ანგარიშზე თანხის აღრიცხვის მომენტიდან.

საბანკო რეკვიზიტები:

სს თიბისი ბანკი

ა/ა GE06TB7140936070100001

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. ხელშეკრულებით დადგენილი მომსახურების ვადა აითვლება წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და იმოქმედებს 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

3.2. იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე 15 (თხუთმეტი) დღით ადრე რომელიმე მხარე არ განაცხადებს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

ინიციატივას წერილობითი ფორმით, ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება 1 (ერთი) წლის ვადით, წინამდებარე ხელშეკრულებაში გათვალისწინებული წესებით და პირობებით.

4. მხარეთა ვალდებულებები:

4.1.1. შემსრულებელი ვალდებულია:

4.1.2. შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა და დაიცვას ვადა ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

4.1.3. შეასრულოს მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების პრეამბულაში გათვალისწინებული რეგულაციების მიხედვით დროულად და სრულყოფილად.

4.2. შემსრულებელი უფლებამოსილია:

4.2.1. უარი უთხრას მომსახურების განხორციელებაზე დამკვეთს, იმ შემთხვევაში თუ კი დამკვეთის ავტოსატრანსპორტო საშუალება არ შეესაბამება დამკვეთის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

4.2.2. გადაავადოს ავტოსატრანსპორტო საშუალების შემოწმება გონივრული ვადით.

4.3. დამკვეთის ვალდებულებები:

4.3.1. შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა და დაიცვას ვადა ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

4.3.2. განახორციელოს ანგარიშსწორება დროულად, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში.

4.3.3. უზრუნველყოს ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაცემა შემსრულებლისთვის მასთან შეთანხმებულ ზუსტ დროს მომსახურების გასაწევად.

4.3.4. დაიცვას რიგითობა მომსახურების მისაღებად.

5. ხელშეკრულების შეწყვეტა

5.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა შორის ურთიერთშეთანხების საფუძველზე.

5.2. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში მხარემ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს შეწყვეტის შესახებ შეტყობინება 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე. თუ აღნიშნული შეწყვეტა ხორციელდება დამკვეთის მხრიდან, შემსრულებელი ვალდებულია გაითვალისწინოს და არ მოემსახუროს დანართ N1-ში და რეგლამენტით გათვალისწინებული წესით აღრიცხულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს ზემოაღნიშნული წერილის ჩაბარების თარიღიდან.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა:

6.1. იმ შემთხვევაში, თუ კი მხარეთა მიერ მე-5 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა მოხდება, დამკვეთი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსრულებელს ამ პერიოდში ფაქტობრივად გაწეული სამუშაოს ღირებულება, რომელიც გამოითვლება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლში განსაზღვრული მომსახურების ღირებულებიდან.

6.2. ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსრულებელს შეუძლია მოსთხოვოს დამკვეთს გადაუხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების მე-2 პუნქტის მიხედვით განსაზღვრული მომსახურების სრული ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით.

6.3. მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობებს.

7. ფორს-მაჟორი:

7.1. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისგან თუ კი შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებიდან გამომდინარე.

7.2. ფორს-მაჟორულ გარემოებათ ითვლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი გარემოება, სიტუაცია, რომელიც გამოწვეულია დაუძლეველი ძალით და მისი თავიდან აცილება შეუძლებელია (ნებისმიერი სტიქიური მოვლენა, გაფიცვები, ომები და ა.შ.).

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას მხარეები ვალდებულნი არიან მიიღონ მათ ხელთ არსებული ყველა ზომა ასეთ გარემოებათა შედეგების აღმოსაფხვრელად.

7.4. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას მხარეების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების დასრულებამდე ან/და გაგრძელდება იმ ვადით, რა დროითაც გრძელდებოდა ფორს-მაჟორული გარემოებები.

8. კონფიდენციალურობა:

მხარეები პასუხისმგებლობას კისრულობენ დაიცვან კონფიდენციალურობის პრინციპი და არ გადასცენ მესამე პირებს ინფორმაცია, რომელიც გამჟღავნდა წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში და არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას.

9. ხელშეკრულების დამატებითი პირობები:

9.1. მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება მოლაპარაკების გზით.

9.2. მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დამკვეთი აცხადებს თანხმობას მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე და ასევე აცხადებს თანხმობას დანართ N1-ში განსაზღვრულ ავტოსატრანსპორტო საშუალებების ვიდეოჩანაწერში ასახვაზე მომსახურების შესრულებისას შემდგომი გაუგებრობის თავიდან არიდების მიზნით.

9.4. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში ნებისმიერ მიმოწერას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხების შესახებ აქვს იურიდიული ძალა.

9.5. ხელშეკრულება შედგენილი ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი გადაეცემა შემსრულებელს ხოლო მეორე დამკვეთს.

10. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები:

„შემსრულებელი“	„დამკვეთი“
შპს „ქვიქტესტი“	შუახევის მუნიციპალიტეტი
დირექტორი:	მერი
დავით ქორიძე	ფრიდონ ფუტკარაძე
ს/კ: 405239503	ს/კ:247865145
ელ.ფოსტა: david.qt.ge	ელ.ფოსტა: omabuseri@gmail.com
ტელ:	ტელ:599852019

Shuakhevi municipality

Digitally signed by Shuakhevi municipality
Date: 2019.11.27 16:59:12 +04'00'

მარკა	მოდელი	კატეგორია (M1, M2, N1)	სახელმწიფო ნომერი	გამოშვების წელი
ტოიოტა	ფორტუნერი	M1	MMV-091	2011
მიცუბიში	პაჯერო	M1	CB811BC	2008
მიცუბიში	პაჯერო	M1	GAM-018	2000
ნისან	ნავარა	M1	VZ-019-ZV	2007
ნისან	ნავარა	M1	SZ-727-ZS	2007
ტოიოტა	პრადო	M1	DCD-878	2009
მიცუბიში	L-200	M1	XVX-225	2007
ფორდ	ტრანზიტ	M2	LL-987-FF	2008
ნივა	2121	M1	RGI-413	2007
ნივა	2121	M1	JII-050	2005
უაზ	631	M1	IJL-155	2005
უაზ	ჰანტერი	M1	GO-367-OG	2015